ბრძანება N 01-72-938

ქ. თბილისი 17/07/2014

ს.ს.ი.პ. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 აგვისტოს #219 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის N320 ბრძანების მე-5 მუხლის "კ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ს.ს.ი.პ. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ს.ს.ი.პ. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

ს.ს.ი.პ. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს ცენტრში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და გაცემის წესს.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა. შესაბამისად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში მიიღოს მოთხოვნილი ინფორმაცია.

2. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა შეუძლია გააგზავნოს სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, ელექტრონულ მისამართზე info@folk.ge ცენტრის ვებ-გვერდზე folk.gov.ge ან/და ს.ს.ი.პ. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალიდან (www.my.gov.ge).

3. ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციის მომთხოვნი ფიზიკური პირის სახელს, გვარს, პირად ნომერს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონულ ფოსტას;

ბ) ინფორმაციის მომთხოვნი იურიდიული პირის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონულ ფოსტას;

გ) საჯარო ინფორმაციის მიღების სასურველ ფორმას (ელექტრონული ფოსტის საშუალებით, კომპაქტურ დისკზე ჩაწერილი, მატერიალური სახით, თუ დედანში გაცნობის გზით)

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესების დარღვევით წარდგენილი მოთხოვნა სამსახურის მიერ არ განიხილება.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემა

1. ელექტრონული ფორმით წარდგენილი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ელექტრონული მისამართის მეშვეობით რეგისტრირდება სამსახურის დოკუმენტბრუნვის სისტემაში (ედოკში) და მომთხოვნს ეგზავნება რეგისტრაციის დადასტურება, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, ელექტრონული ფოსტით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების ათვლა დაიწყება მოთხოვნის ელექტრონული ფორმით მიღებიდან (რეგისტრაციიდან) მეორე სამუშაო დღეს.

3. თუ მოთხოვნილი ინფორმაცია მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად, სამსახური ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს მომთხოვნს და იტოვებს უფლებას მომთხოვნის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს მისი გაცემა ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

,

გიორგი დონაძე

დირექტორი